ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 8 ივნისის სხდომის

ოქმი #5

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 8 ივნისს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 16 წევრი. სხდომას აგრეთვე ესწრებოდა დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვაჟა ტრაპაიძე.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა;
2. საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ;
3. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემების დამტკიცება;
4. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებები საბჭოს წევრების წინაშე განსახილველად და შესათანხმებლად გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. ცვლილებები შეეხო შემდეგ პროგრამებს: სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“, სამაგისტრო პროგრამა „მათემატიკა“ და სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი მათემატიკა“.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში: სამაგისტრო პროგრამა „ქიმია“, სამაგისტრო პროგრამა „მათემატიკა“ და სამაგისტრო პროგრამა „გამოყენებითი მათემატიკა“ (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის მეორე საკითხის - საფაკულტეტო კონფერენციის ვადების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან აღნიშნა, რომ სტუდენტური კონფერენციის ჩატარება, როგორც წესი, იგეგმება საგამოცდო პერიოდის ბოლო კვირას. შესაბამისად, მან საბჭოს წევრებს შესთავაზა 10-15 ივლისის პერიოდი კონფერენციის ჩატარებისათვის. აღსანიშნავია, რომ ტრადიციულად, ამ კონფერენციაზეც გაიცემა დეკანის პრემია საუკეთესო საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისათვის.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ე.ნადარაიამ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მე-11 სტუდენტური კონფერენციის ჩატარების ვადების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: მე-11 სტუდენტური კონფერენცია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ჩატარდეს 2023 წლის 10-15 ივლისს.

3. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე საკითხის - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემების დამტკიცების შესახებ. საკითხი დასამტკიცებლად გამოიტანა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო საბაკალავრო და სამაგისტრო თემებისა და ხელმძღვანელების ჩამონათვალი მიმართულებების მიხედვით, ასევე რიგი ცვლილებები ზოგიერთი დოქტორანტის სადისერტაციო თემებსა და მათ ხელმძღვანელებში (იხ. დანართი 2).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები: საკითხი დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო თემებისა და ხელმძღვანელების წარმოდგენილი ჩამონათვალი (იხ. დანართი 2);
ბ) დამტკიცდეს ცვლილებები ზოგიერთი დოქტორანტის სადისერტაციო თემებსა და მათ ხელმძღვანელებში:

- **სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“**
  დოქტორანტ **მედეა იორდანიშვილის** სადისერტაციო თემა ”ამონახსნის ვარიაციის ფორმულები და ოპტიმალური ამოცანები სამართი დიფერენციალური განტოლებებისთვის შერეული საწყისი პირობით და არათანაზომადი დაგვიან-ებებით” სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფ თამაზ თადუმაძე შეიცვალოს ახალი სადისერტაციო თემით „ამონახსნის წარმოდგენის ლოკალური ფორმულები და ოპტიმიზაციის ამოცანები სამართი ფუნქციონალურ-დიფერენციალური განტოლებისთვის შერეული საწყისი პირობით: სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასოც.პროფ ლელა ალხაზიშვილი;

- **სადოქტორო პროგრამა „გეოგრაფია“**
  დოქტორანტ **თამარ ჭიჭინაძეს** სამეცნიერო ხელმძღვანელად დაემატოს იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტის პროფესორი, ანდრეას დიტმანი. ამრიგად მისი სამეცნიერო თემის ,,გეოპარკის დაგეგმარება კავკასიაში რაჭის რეგიონის მაგალითზე“ ხელმძღვანელებად დამტკიცდეს პროფ. დალი ნიკოლაიშვილ, გეოგრაფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, გეოგრაფიის დოქტორი ნანა ბოლაშვილი და იუსტუს ლიბიგის უნივერსიტეტის პროფესორი, ანდრეას დიტმანი;

- **სადოქტორო პროგრამა „პალეონტოლოგია-პალეოანტროპოლოგია“**
  დოქტორანტ **თამარ არსენიძის** სადისერტაციო თემად დამტკიცდეს: „ძვლის იარაღის წარმოშობა, ტრანზიციის გზები და ძვლის იარაღის ტრასოლოგია“, ხოლო ხელმძრვანელად კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ წიქარიძე;

  დოქტორანტ **ეკა დემურიას** სადისერტაციო თემად დამტკიცდეს „ამოღარვის ტექნიკები, ამოღარულპირიანი იარაღის ტრასოლოგია და მისი ექსპერიმენტული ანალიზი“, ხოლო ხელმძღვანელად - კავკასიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი ნიკოლოზ წიქარიძე.

4. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეოთხე, მიმდინარე საკითხებში გამოტანილი მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალი თანამშრომლების დამტკიცების საკითხი. საკითხის შესახებ საბჭოს წევრებს ინფორმაცია მიაწოდა ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეულების კომისიის თავმჯდომარემ, პროფესორმა ა.შენგელაიამ. მან აღნიშნა, რომ კომისიამ განიხილა მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თ.თათრიშვილის განცხადება ახალი თანამშრომლების დამატების შესახებ (იხ. დანართი 3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალი თანამშრომლების ერთი წლით, ანაზღაურების გარეშე დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცდა ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობით მიმართოს თსუ-ის ადმინისტრაციას მაკრომოლეკულების ქიმიისა და პოლიმერული მასალების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ახალი თანამშრომლების ერთი წლით, ანაზღაურების გარეშე დამტკიცების შესახებ თანდართული სიის მიხედვით (იხ. დანართი 3).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი